



№ 4

წელიწადი
მ ი მ თ ხ მ

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тиф-лись, Ред. „Театри да Цховреба“ Г. Имо-дашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდე-ბა.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შეს-წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამომოთ 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 4

კვირა, 24 იანვარი

1916 წ.

24 იანვარი

საგულისხმო გახსენება.



აკაკი

(†1915 წ. 26 იანვ.) ექვსი თვე, რაც ჩვენი სულის მეფენი, ჩვენი მწერლობის მშვენიერებიანი ხორციელად განგვე-შორდნენ...

აკაკი და ვაჟა სამარეს მივაბარეთ...

დღეს, როდესაც ჩვენი ქვიყანა, თვის უნებლიეთ მსოფლიო ომში ჩათრეული, მრავალ ქრილობით დაკაწრული, გულის ფანტ-ქალით მოელის თავისუფალ ეროვნულ ცხოვ-რების განთიადს, აკაკისა და ვაჟას სახენი უფ-რო სხივოსნად გველამუნებიან, გზის მაჩვენე-ბელ ვარსკვლავებად დაგვეათქათებენ...

ისინი ხომ მამულის გაერთიანებისა და თავისუფლების მოციქულნი იყვნენ!..

იმერქელმა და აშერქელმა გული გულს გა-დააქნეს, თვის ღვთიურ ჩანგთა სიმი სიმს შე-უწყეს, ხმა ხმას შეუხმატკიბილეს და საქართ-ველოს ყოველ ძეს ერთი გრძნობა ჩაუნერგეს — თავის ფანაობისა და მამულის ცნობის გრძ-ნობა...

მათი სულთა სწრაფვა, იდეალი ჯერ კი-დეც საფსებით ვერ განხორციელებულა, რად-გან... „ნესტან დარეჯანს“ კვლავ ძაძა ჰპუ-



ვაჟა

ზეგ და მახეგ სა-გულისხმო მო-კონებათა წუ-თებს განვიც-დით...

26 იანვარს სრულდება წლის თავი ხო-

რავს, სატრფო მათი „ცხრაკლიტულშია...“
მაშ ვეცადნეთ, მალე ჩამოიფხრიწოს ეს ძაძა და ნესტანს მზიანი დღე გაუთენდეს...
მაშინ აკაკისა და ვაჟას სულნიც ინეტა-რებენ და მარად ჩვენთან იქნებიან...

გზა მიეცით!

სიტყვითა გრძელი, საქმით მოკ-ლე იმდენი ხალხი სხვაგან სად მო-იპოება რამდენიც ჩვენში?!

რას იზავს?—სამოქმედო ასპარეზი რომ არა აქვს, სიტყვათა ქარ-ბუქში „იბრძვის“ ყო-ველი ახალი ძალა.

ვინ მოსთვლის რამდენი მუყაითი, ძალ-ღონით სავსე, საუკეთესო იდეალებით აღჭურ-ვილი და საკუთარი მამულ-დედულის სამსა-ხურის სურვილით გატაცებული ადამიანი სრულიად შეუმჩნეველად ჩაჰქრა ანუ ჰქრება!..

და ასე: ახალი ძალა, ცოდნა და ნიჭი უსარგებლოდ, გამოუყენებლად იკარგება...

მიზეზი, რა თქმა უნდა, ერთის მხრით ის არის, რომ „ჩვენი თავი ჩვენადგე ან გვეუფ-ნის“: ჩვენი ყოფა-ცხოვრების მზრუნველ-ლა-ლებად უმეტესად უცხონი ჩამდგარან და ში-ნაურს გზას, ადგილს არ აძლევენ,—მაგრამ ეს უკუღმართობა მართა ამითი არ აიხსენება...

ჩვენში არის რამდენიმე საზოგადო, სა-კულტურო, საფინანსო და სხ. დაწესებულებ-ბა, ისეთი ასპარეზი, რომელზედაც სამუშა-კოდ ცოცხალი, მკვირცხლი და ახალი ძალაა საქირო... და იმის მაგიერ, რომ ამ დაწესებუ-ლებებში სწორედ ახალნი ძალნი შეუშვათ, ყოველთვის ერთხელვე გაკვერილ გზას მივს-

დევთ—მუდამ ერთსა და იმავე, მრავალ საქ-
მით დატვირთულ კაცებს შევიყვანთ ხოლმე.
რა საბუთით?—იმ საბუთით, რომ ასეთი ცნა-
ბილი მოღვაწე ერთხელ შემთხვევით, ვისიმე
პროტექციით, რაიმე მოხერხებით, ანუ უამსა
ყრმობისასა ორიოდ დაწერილი წერილის გა-
მო, ერთს რომელსამე საქმეს მოექცა სათავე-
ში და .. ახლა სადაც დაგვირდება ვინმე,
უსათუოდ ამ დატვირთულ, უმეტესად დაღლილ
დაქანცულ კაცს მივყუდებთ ჯოხს—საზოგადო
საზრუნავ საქმეზე ახალ საქმეს უმატებთ, ჯა-
მაგირზე—ჯამაგირს...

და აქი ამიტომაც არის, რომ ჩვენი საქ-
მეები კუს ნაბიჯით „მიჰქრის“ წინ...

რამდენია ჩვენში ისეთი მოღვაწე, რომ
თითქმის ყველა საზოგადო საქმეს თაოსნობს
და იმავე დროს ვერც ერთს ვერ მესვეუ-
რობს, როგორც ჩვენი ერის სარფა და საქი-
როება მოითხოვს...

იყო დრო, როდესაც მომზადებული, სა-
ქვეყნო საქმით გულ-გამთბარი ადამიანები
ძალიან ცოტა გვყავდა,—თითო-ოროლა, და
მაშინ, ძალაუნებურად, მთელი ჩვენი საზოგა-
დო საქმეების ავან-ჩავანი ეს ორიოდ კაცი იყო?
დღესა?—დღეს, მადლობა ღმერთს, ჩვე-
ნი საზოგადოებრიობა გაიზარდა, საქირო ცო-
დნით აღჭურვილი ადამიანებიც მოგვეპოება და
მათ მოღვაწეობის საშუალებას რათ უსპობთ?

ჩვენი სამოქალაქო-საზოგადოებრივი და
სახელმწიფოებრივი ცხოვრება თანდათან ფარ-
თოვდება, ჩნდება სხვა და სხვა ადგილები და
ამ ადგილებზედაც თუ ისევე მრავალ საქმით
დატვირთული მოღვაწენი მოვიწვიეთ,—არა
ერთის მხრით გაგვიცრუვდება იმედი: მათდა-
მი მინდობილი საქმე ერთს ადგილს გაიყანე-
ბა და ახალს, ქვეყნის ამალორძინებელ ძალას
კი საშუალება არ ექნება საზოგადო-საქვეყნო
საქმეს ემსახუროს და მშობლის გულ-მკერდს
არ მოსწყდეს...

საზოგადო და ახალ საქმეს ახალი შემო-
ქმედი ძალა ეჭირვება...

გზა, ბატონებო, გზა მიეცათ ახალ ძა-
ლას—მომზადებულ, მოსაქმე ახალგაზღვობას,
დაე, თუნდა ასეთ ახალგაზღვობას „საზოგადო
მოღვაწეობის“ დიპლომი ჯერ მიღებული არა
ჰქონდეს...

ზ ა მ თ ა რ ი

მშვენიერი შემოდგომა იდგა. ცა მუდამ
მოწმენდილი, ღრები მზიანი, მთვარიანი ღა-
მეები საერთო მზარულებას ავრცელებდნ.

—საუცხოვო შემოდგომა იცის ჩვენს
ქალაქში! ეუბნებოდნ ერთმანეთს ნაცნობები.

—ამისთანა ღამეებში ძილი ცოდვა არ
არის! ეუბნებოდნ ერთი მეორეს ახალგაზრ-
და ქალ-ვაჟნი.

—რა მთვარეა, რა მთვარე! უცქირე და
დასტკბი! გაისმოდა მთვარიან ღამეებში.

და მართლაც უმათვრეს ქუჩებზე სალა-
მოობით ჯარივით ირეოდა ხალხი.

გაიწურა თუ არა გიორგობისთვე, ამიდი
ერთბაშათ გამოიცვალა. ცამ მოიწყინა, პირი
მოიქუშა. მხეს სიცხოველე დაეკარგა. მთვარე
ალარა სჩანდა, ჰაერი გაცივდა. ღრუბლები აი-
რივნენ. მთებზე ჩამოსთოვა. სიცივემ იმატა.

მოსეირნეთა რიცხვმა ქუჩებში შესამჩნევათ
იკლო.

—წელს დიდი ზამთარი იქნება, დიდი!

—იმისთანა შემოდგომას ყოველთვის სუ-
სხიანი ზამთარი მოსდევს. ეუბნებოდნ ერთ-
მანერთს ნაცნობები.

—რალა გვეშველება! შეშის ყიდვას ვე-
ლარ აუვალთ. ჩიოდნ ღარიბები.

—წელს შეშას დიდი გასავალი ექნება.
ლიბილით ეუბნებოდნ ერთმანერთს შეშის
საწყობების პატრონები.

—ქა, ჩემი ქათიბი ღამის დამიძიჩოს!
ძლივს არ მეღირსება იმის ჩ ცმა! გაიძახოდნ
გაქრების ცოლები.

—მადლობა ღმერთს, მარხილით სრია-
ლით ვიჯერებთ გულს! უხაროდა მდიდრების
ცოლშვილს.

—სამარხილვ თოვლს როგორც დასდებს,
პირველ ხანებში კარგათ ავუსვამთ ფულეებს
ხელს! ხელების ფშვნეტით იძახდნ მეეტლენი.

—გამომიგზავნე ამდენი და ამდენი შე-
შა. დიდი ზამთრის ნიშნებია. გაუგზავნა ტე-
ლერამა რევზ როსტომის ძემ ერთ ხეტყის
მწარმოებელს, რომელიც მას შეშას უგზავნიდა.

—საჩქაროთ გამომიგზავნეთ ამდენი და
ამდენი საზამთრო კალოშები და ფეხსაცმელებ-

ბი დაუკრა არტემა არტემას ძემ ტელეგრაფით ფირმას.

— საჩქაროთ მომწოდეთ ამდენი და ამდენი საზამთრო საცვლები, წინდები, ხელთათმანები, ჩულები აფრინა ტელეგრაფი ბერლინში ასატურ ფრანცის ძემ.

— საჩქაროთ საქიროა ამდენი და ამდენი საზამთრო პალტოები და ტანისამოსი. აცნობა მოსკოვში ტანისამოსით მოვაჭრე მარტიოზ ნაზარის ძემ.

— საჩქაროთ მომავველეთ ამდენი და ამდენი ბატენის ტყავის შეატყობინა ტელეგრაფით ბუხარაში არონ ფილაზას ძემ.

— რამდენი ხანია, აქ რიგიანი ზამთარი არა ყოფილა. გამოიწერე შავი ცხენი და მარხილი მოსკოვიდან, ბაღიანი რომ იყოს. მხოლოდ ტელეგრაფით! შენ ვერ წარმოიდგენ, რა საუცხოვო სანახავია, როცა ყოველი ფერი თეთრათ გამოიყურება და შავი ცხენი ოთხ ამოდებული გარბის ქუჩაში, მარხილი მიჭკრის ჰაერში და თოვლის ბღღვრს აყენებს, სახეს ცივი ჰაერი გისუსხავს! ააბ, საუცხოვოა, საუცხოვოა! ეუბნებოდა თეთრი, ჰუნტულა ცოლი არტამან სერგეის ძეს.

— მე რომ მკითხო, ზამთარში თეთრი ცხენი ჯობია, ან რუხი. არწმუნებდა ქმარი.

— აბა რას ამბობ! რა შედარებაა, რა შედარება! უმტკიცებდა ცოლი.

არტამან სერგეის ძემ ისმინა ცოლის ვედრება; თუმცა ცხენი ორი ჰყავდა, მაგრამ მაინც გამოიწერა ტელეგრაფით შავი ცხენი და მარხილი: მას შეძლება დიდი ჰქონდა, ამასთან დიდი მოყვარული იყო კარგი ცხენითა და მარხილით სრიალისა. **ივ. გომართელი** (გაგრძელება იქნება)

მ თ ი ს მ დ ი ნ ა რ ე

მიყვარს... მიყვარს შენი შეუწყვეტელი ხმაური, შენი მუღმავი ბძოლა, შენი მკუხარე, უკმაყოფილებით სავსე ხმა.

მე ყურს უღდებ შენს ბრძოლის ჰიმნს, შენს იმედთან სიტყვებს... ვხედავ შენს უკმაყოფილებას ამ კალაპოტისადმი, ვხედავ, თუ როგორ ებრძვი შენ მას, როგორ გსურს შეანძრო ქვები მის ძირში, დაამხო ის და თავისუფლად სავლელი გზა გაიკაფო... ვხედავ ყველა ამას და გული მიმაგრდება, იმედით

მევესება—მე მაგალითს ვხედავ ბრძოლაში შეუღრკელობისას...

მე კიდევ პატარა ვიყავი, შენს ნაპირებს შემოვეჩვიე; შენ ეგეთი გიჟმაჟი, ეგეთივე შეუღრკელი იყავი მაშინაც... ეგეთივე სისასტიკით და თავგამოდებით ებრძოდი შენ ამ სულის შემხუთველ ნაპირებს, კლდეებს...

მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო. ჩემი არსება ბრძოლით მოიღალა, შენ კი?.. შენ კი ისევ იბრძვი, ისევ ახალგაზრდულად ვხეთქები შეუბოვარს კლდეებს, ისევ ძველი გამამხნევებელი ჰანგები ისმის შენს სიმღერაში. დიახ, შენ მუღამ ახალგაზდა ხარ—მოუსვენარი, დაულაღავი, შეუღრკელი...

დაბადებიდან, იმ დროიდან, როცა შენ ფეხი აიღვი ამ მთის კალთებზე, მას შემდეგ შენი ხმა არ შეწყვეტილა. შენ ისე არ გაგიქანებია შენილოურჯი ტალღა, რომ კლდენაპირისთვის არ მიგეხეთქებინა. მიყვარხარ!..

მიყვარხარ იმიტომ, რომ იბრძვი, რომ შენი სული ვერ შეირგებია მყუდროებას, რომ მოძრაობ, სცოცხლობ...

სცოცხლობ და კვდები, კლავ და სიცოცხლეს აძლევ...

ამისათვის მიყვარს შენი იღუმალი ხმა, გაუგებარო, მიყვარს ისე, როგორც გაუგებარი, მაგრამ წარმტაცი სრბოლა ცხოვრების ტალღებისა...

ნ. მიწიშვილი

ქართველი ქალი და აკაკი

(წაკითხული ქართ. კულტ. მოყვარულთა საზ-ის კრებაზე 26 ქრისტეშ. 1915 წ.)

ყოველი შემომქმედის შემეცნებაში ქალის ყოფა-არსებობის შესახები აზრები გამოსკვივის ერთ სამართლიან აზრად:—ქვეყნის ბედი და უბედობა ქალზეა დამყარებული.

მრწამს, რადგან საკაცობრიო ისტორიის ყოველი ფურცელი ამ დებულების დამამტკიცებელია... არ არის სახელმწიფო, ერი, მართვა-გამგეობა, ან კერძო რამ ნაწილი, რომლის მამოძრავებელ ძალის, რომლის ამყვავებელ-წამგრავენელის ერთ უმთავრეს ნაწილთან განს მხვეალი ღვთისა არ წარმოადგენდეს!.. ქალს დაუსაკუთრებია ნაწილი იმ მრავალმხრივ საყურადღებო ბაქანისა, რომლიდანაც თვით განგების მეუფე სამყაროს შეიღათა შეებასაც

სთავაზობს და რისხვასაც ავლენს... და სწორედ იმ ბაქანიდან იწყება მიზანი ქალთა არსებობისა. სწორედ რომ ქვეყნის დასაბამიც ამას გვიმჟღავნებს და ქალთადმი ყურადღების მიპყრობას გვიკარნახებს... ისიც მართალია, რომ მრავალნი შემომქმედნი, ქალთა ვითარების განმარტებით, ქალებს „აჩაბობის“ სახელითაც ნათლავენ, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომელიც მთქმელს ქალისათვის ასეთი სახელის გამოძებნას აიძულებს, განა ქალის მნიშვნელობის ანბანური კეშმარტებისა და მისი როლის დიადობის დადამყოფელი არ არის?!

და აკაკიმ, შვილმა იმ კურთხეულ საქართველოსამ, რომლის ვითარების ყოველ ნაკვეთს ძღვევამოსილი ქალის ხატებანი ხსნიდნენ, აკაკიმ, რომლის სამშობლოს ისტორიის ფურცლებს ზეგარდმო ნიჭით ცხებულ, მშვენებით მომხიბვლელ მეფე-ქალთა და ერის ასულთა ყოფა-ცხოვრების აღწერა ამშვენებს, გული თვისი გაიპო და ჩანგს თვისას გამოაცემინა ის ჰიმნი, რომლის აკორდში ქალის არსების მრავალმხრივობა გამოკრთის... აბა უსმინეთ მის გამოძახილს, თუ ერთ უმთავრეს მოტივს ქალის, ამ კაცობრიობის გააერთიანებელ ჯაჭვის ერთ უმთავრეს რგოლთაგანის, ქართველი ქალის, ამ საქართველოს ქირვა-რამისა და ლხენა-ტრფობის განმსახიერებელის სულის, ეროვნულ-პოლიტიკურად განვითარების სურვილი არ წარმოადგენდეს!..

სწორედ ქალის ასეთ წინმსვლელობის იდენს გამოსახატავად, ქალის ზნეობრივად აღსამაღლებლად, აკაკიმ თავის კალმის ნაწრობში თვით იგი ქალი წარმოგვიდგინა ორ ცენტრალურ ფიგურად: ქალი საქართველოს წარსულისა და ქალი აწმყოსი, საქართველოს ამ დაქინების დროისა.

ნინო, ქეთევანი და თაშარი — ეს ერთიმეორისაგან სულიერად განუშორებელი კურთხეული სამება, ეს ქალთა დიდებულობის სიმბოლიური ღვთაება, რომელიც ყრველ შვენებულ ადამიანისათვის სათაყვანებელ საგნად გარდაქცეულა — აკაკის სიმთაწკრიალშიც დიადის ქებით იხსენიება და ზეადმტაცობის უზწვერვალეს საფეხურს აღწევს... „დღეიურ სიძხადით გუჟღახაგრულ“ აკაკის სიზმარშიაც კი

ეს პიროვნებანი ეცხადებიან და ნეტარების წამებს განაცდევინებენ... ესენი წარმოუდგებიან იმ საიდეალო მშვენებად, რომელიც თვალეც ცათამდე აპყრობილი და ღვთის მსასოებელი ანგელოსთა გუნდს ქართველთა გამამხნეველ ხმას გამოაცემინებს...

და, აი, კურთხეულ ერის კურთხეული შვილი ნათელაც...

როცა გაკაჟებულ ქართველთა პირდაპირობით ვერავინა სძლედა, ხოლო როდესაც:

„ერთი ძუძუთ გამოზდიდი,
ერთი დედას ორი შვილი,
ერთს ჭირსა და ერთსვე ღვინში
შეთანხმებულ, გამოცდიდი: —
ამერი და იმერეთი
აირია, აიშალა
და ორივეს ჩამოაქდა
სიმტკიცე და ძველი ძაღა“ —

როცა ეს მოძმეთა შორის „ჩიდას ჩატეხა“ გარდამიქცა მონგოლთა იმ მხიარულ საგნად, რომლის შემწევობით მათ საქართველოს ერთი ნაწილი ხელთ იგდეს, ქართველთა გმირნი საშინელ განცდაში შთააგდეს და უფრო მეტის რისხვით იმუქრებოდნენ, — მაშინ „მოდი ნახის“ კოშკში აღზრდილმა ნათელამ ერის თავისუფლების მომხვეჭი მკლავები მძლავრად დაიქნია, დიადის საკვირველებით სამეგრელოს მთავრის — ცოტნე დადიანის სამკვიდრებელში მოეცა, ჩანგურის სიმთა შორის ბროლის თითებს კამარა შეაკვრევინა, წარმტაცად დაუქრა, მშობლიურ კერის ამაღიზიზხებელი დილინით სოფელთა შიგან ლხენით მცხოვრებნი გარეთ გამოიყვანა, აბჯარი აასხმინა და მოძმეთა გასაერთიანებლად, ქართველთა დასახსნელად მონგოლთა საწინააღმდეგოდ წარგზავნა მაგრამ, ოდეს მცირეოდენ ხანმა განვლო და თავის მეუღლისა და სხვათა მწარე ხვედრიც შეიტყო, აბჯარი თვითაც აისხა და მონგოლთა მეფის — ნოინის წინაშე თვით წარსდგა, რათა ხვეწნა-მულარით, ან ვაჟკაცურის გამბედაობით მოძმეთათვის ბორკილის სიმძიმე შეემსუბუქებინა...

არც მოსტყუვდა...

თუმცა ნოინის აღტყინებულ ვნების ძალით სიტყვიერ შეურაცხყოფის მოსმენა მო-



მსახიობი პ. კორიშელი

თითქმის ათი წელიწადია, რაც სამშობლო სცენას ვმსახურება. ცნობილია ვითარცა დაკვირვებული, მუყაითი და შრომის მოყვარე მსახიობი. არა ერთი და ორი როლი გაუპიროვნებია დიდი ხელოვნებით. ხუთშაბათს, 28 ქუთაისის თეატრში დანიშნულია მისი საბენეფისო წარმოდგენა.

უხდა, მაგრამ ქართულმა გმირულმა გრძნობამ ერის ტრფობა-სიყვარულისა გამო ყოველივე შეუძნეველად გარდაჰქმნა, თვით ნოინს გული მოაღბობინა, გმირი ქართველი დაახსენებინა და
„როგორც შეიქმნა დიდი ფერადი
ამშვენებს დისარტუქსას,
ისე დაეტყო სჯესზე
სიამოვნება ვუქლასა“...

მაგრამ ამ გვარ ვითარებათა რეალურად გადმომცემა აკაკიმ ისტორიულ ქალის ცხოვრებას წერტილი აქ არ დაუსვა... დიდი ის სურათი, რომელსაც გამძვინგებული შაჰ-აბაზი და მის წინ მდგომი ქართველი ტყვე-ქალი გამოსახავს... მრისხანე შაჰ-აბაზის ჯარი საქართველოს შემოსეოდა, აეწიოკებინა და, სხვა გმირთა შორის, ერთი ქალის მამა და ქმარიც მოკლა. ქალმა, გაიგო რა თვისი მწარე ხეიღრი და იცოდა რა, რომ მერძოლი შვილი ჯერ არ წამოზრდოდნენ, მამა-პაპათაგან გადმოცემული ვალი არ დაივიწყა, ოჯახის სირცხვილს ვერ გაუძლო, ქალობა თვისი უკუაგდო, შეიარაღდა და ამწვანებული მდელი მტრის სისხლის შეხეფებით მორწყა... და ამ ბრძოლის შემდგომ წილხდომილმა ტყვეობამ განა ფერი შეაცვლივინა?!. არა!.. უფრო გამხნევა, შაჰ-აბაზის ყოველ კითხვას „გალომებულ-გავეფხვებულმა“ მტკიცე, ჯეროვანი პასუხი მიაცემინა და ქართველთა სამუსრად ზეაღმარებული ხმალი ქარქაშში ჩააგებინა...

გარდა ამ ზექალთა, აგერ თეიმურაზ მეორე მეფის მეუღლე თამარი, აგერ ქვეყნის მხსნელ გელას ასული ტურფა და ქართველ გმირის დედა, რომელთაც ქვეყნის საკეთილდღეო იდეალებით გატაცებულ შვილთა და მამის მისაშველად ხელი და ხმა თვისი გაუწვდენიათ, ბრძოლის გზა დაულოცნიათ და თავის თავსაც არა ჰზოგავენ...

ღიად, ასე იქცეოდნენ ქართველი ქალნი წინათ და ამით საქართველოს შვების მომგვრელ წუთებს აცდევინებდნენ... სწორედ ასეთია მოკლედ ყოფა-არსებობა წარსული დროის იმ დიდ ბუნებოვან ქართველ ქალთა, რომელთა შესახებ აკაკი ამბობს:

„გამოყურდით გმირები სიმშობლას მისხვერბად,
ღვარაკად,
და მით გვაძლევენ მაგალითს, თითქოს ზღაპრად
და აჩაკად...“

ამ ისტორიულ პიროვნებათა გარდა, აკაკის შემონაქმედის სალაროში ვიხილავთ თამარ ცბიერსაც, რომელიც გარეგნობით მომხიბლავი და წარმტაცია, ხოლო ზნეობით უარყოფით ხასიათის თვისებით არის აღსავსე... ისტორიული პიროვნების ასეთი ხატება აკაკიმ ჩამოჰქმნა, მგონია, იმიტომ, რომ დაემტკიცებინა, თუ რა შეუძლიან მშვენებას, თუ მის წინ სააღერსოდ წარდგომილს ქაბუქს, „ტრფიალების მასურნეა ქალი ლეჩქის ურში“ როგორის გამჭირახობით გამოჰკრავს... ამ ნაწარმოებითაც სწორედ ქალის დიადობას ვიგებთ; იმ დიადობას, რომელსაც, აკაკის შეხედულებით, დღევანდელნი ქალნი ბოროტად ხმარობენ, ხალხს მზაკვრული ტრფიალების ქსელში აბამენ, ოჯახის შეურაცხყოფას თავის შეურაცხყოფად არა სთვლიან და ყოველ დღიურ უბრალო მოვლენათა აღსარულელებლად ისახებიან... ქალთა ეს ზნეობრივი შეცვლა, დღევანდელ ქალთა ასეთი დაქნეება აკაკის სიმწრის წუთებს განაცდევინებს; იგონებს იმათ, ვინც

„დედათ გვირგვინად ზეგარდმო
კურთხევით გაბრწყინებულან...“
და დასძენს:
„დიდება იმათ დედაბას,
დიდება იმათ სსხედას,

იმათ სსივებზე დღეს ჩვენი
ქალი თვალს ვუღარ ასეღსა ..»

მართლაც და, თუ საქართველოს დავრ-
დომა-დაძაბუნებას ხელს თვით გმირნი-ქაბუკ-
ნი უწყობდნენ, რა გასაკვირველი იყო, რომ
ქართველი ქალნიც, რომელთ არსებაში უმ-
თავრესი ადგილი მომხიბვლელობასა და გრძ-
ნობის კვერთხს სამეფოდ თვისად გარდაუქცე-
ვით, საერთო უბედურებას თან დაჰყოლოდ-
ნენ და ერისათვის უარსაყოფელ სახედ წარ-
მომდგარიყვნენ. საქართველო ლამის გაცამ-
ტვერდა, ყოველი ჯგუფი, ყოველი ბანაკი
პირადმა თინიანობამა და კინკლაობამ შეიპყ-
რო, ეროვნული ძლიერების გამომსახველი
ძალა დაიქსაქსა და ამას მოჰყვა დაკნინება
ერის სინაზე-სისპეტაკის გამომსახველ ასულ-
თა... აკაკიც სწორედ ამას ამჩნევდა, დასტი-
როდა წარსულ ვითარებას, იგონებდა სამშო-
ბლოს ყოფილ განმანათლებელთ და თან აწ-
მყო დროის ქალთა ვითარებას ქეშმარიტების
მაჩვენებელ მხედველობით სქვრეტდა ..

და, აი, ერთ თავის წერილში ამბობს:
„რაც უნდა განათლებულნი იყვნენ ჩვენი ქალები,
თუ საკუთარ ნიადაგზე ფეხი არ უდგიათ, ჩვენ-
თვის უოვედთვის უნაყოფო და გამოუსადეგარნი
იქნებოიან!.. ახა რა ქართული ქალები უნდა გას-
წიოს იმან, ვისაც „ქრისტი აღსდგატ“ ეი ვერ
ესერსება, რომ ქართულად სთქვას; უვედაფერი
იცის, კარდა თავის ქვეუნიას; მარას იჭერს
ხელში, რომ მუნჯურად ააფხარაკოს და ნევის
აღება ეი არ შეუძლიან, რომ შეიღეს ბერანგი
გაუკერსს!.. დომი ქაშისაცან ვერ გაუჩნევა დ-
შვილი სთამაშო დელოფა (გუჯა) ჭგონი.
ცხადია, დეკანდელი ჩვენი ქალები, ძველ ქარ-
თულ ქალებთან, იმ ნამდვილ დელებთან, მისატო-
ლებული ეი არა, სასხენებელნიც არ არიან“-ო ..

ღიად!.. დღევანდელ ქალს გარეგნულად
არაფერი აკლია, სილამაზით ყველას იზიდავს,
წარმტაცია, მაგრამ „ჩვეულება რომ რწულთ
ემტაცესია“ ეს იმასაც კარგა შეუგვნია და,
თუ ყოველ დღე „ფერ-უმარილი არ წაიც-
ხო“, თუ თმა ხელოვნურად არ დაიკულოლა
და მით თავი არ დაიმახინჯა, არ შეუძლიან.
ასე სჩადის ისიც ეი, ვისთვისაც სიბერეს უკვე
მოუსწვრია, „წლებს იპარავს“ და ზიზღის

მეტს არაფერს იწვევს... აგერ „კენინა“, რო-
მელმაც ძალიან „მოკლე ხნით“ ინეტარა, ნი-
სიათ გამოართმეული „ოქრომკედი და შლიე-
ფი“ დაუძველდ-გაუტყვდა და გულს მხოლოდ-
იმიით ინუგეშებს, რომ

„იტირას ჩემმა ქმარმა,
ბედეღმა და კაღმაო...“

აი, თუნდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც
„სიღამაზით ზეჰეღაა ხატისა,
მისვრა-მისვრა და ქცევა აქვს კატისა“;
რომელიც „დღეში ასჯერ შეიცვლება მარტი-
ვით“, „შოდნებს დასდგეს, იმაშია გართული,
წერა-კითხვა ეჯავრება ქართული“, „ზრასტის“
მეტი აღარაფერი ეყურება, „შრამისა და კე-
თიღის საქმის ნაცვლად, მხოლოდ ღხინში აუ-
ღია მას წილი“ და მით ერის დაცემას უფრო
ხელს უწყობს... მაგრამ, ვით ფუქსავატნი
არიან თვით, ისედაც მათი ნეტარება ფუქსა-
ვატდება, სამხიარულო ფერხული მათი იზნე-
იშლები. ის ვინც გუშინ „მდიდრუღის მარ-
თუღობით გვაკვირებდა“, დღეს თავის წინაშე
ჰხედავს, რომ

„წვრილ-წვრილი ვაჭრები
შემოდან დას-დასად!..“

და სირმები და ნაჭრები
უკლებით ოხვრის ფასად...“

ეს გარემოება არის ნაწილი მდგომარე-
ობისა, ეს ყოფა არის შედეგი ქალთა, ასე
ვთქვათ, გარეგნულ თვით არსებობისა, მაგ-
რამ აქედან ცხადია, რომ, ამ გვარად აღზრ-
დილნი და გართულნი ქალნი, ძლიერ სიყ-
ვარულშიც დაისახებოდნენ ისეთ უმწყო ქმნი-
ლებად, რომსლნიც უდროვოდ დაღუპულ მო-
სიყვარულის სახელს წარმავალ წამსავით ჰა-
ერს ატენენ, თვით მგლოვიარობის დროსაც
პრანქვა-გრებასა სცდილობდნენ, რომლებიც სპე-
ტაკ სიყვარულის სხივებს გაუტრბიან, ან და
„ტრფობის აღს“ სახუმარო საკნად სთელიან.
სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ „გამო-
ცვლილა სიყვანრული აქ ოთხმოდლა თერამეტრე-
რს“ .. გარდა ამისა, სხვა და სხვა კუთხის
მცხოვრებთ სიყვარული სხვა და სხვა გვარად
მიაჩნიათ. ქართული ქალი, მაგალითად სი-
ყვარულს ტრფიალებში ჰხატავს, იმერელს
წუთიერ გასართობად მიაჩნია, მეგრელი უპი-



სოფიო გოგაშვილისა

10 წ შერულდა რაც სახალხო (უმეტესად „ნაძალადვის“) სცენებზე მოღვაწეობს, რომლის საპატივცემო წარმოდგენა გაიმართება კვირას, 24 იან.

რატესობას ფარულ სიყვარულს აკუთნებს და ქმრისადმი დალატში ცოდვას არასფერსა ჰხედავს, გურულს კი ვაჟი სურს გამირობისათვის, რომელიც ქალის შეურაცხყოფელთან ბრძოლაში უნდა ცნაურდებოდეს... ყველას ერთად და თვითულს ცალკე ოჯახი არ აინტერესებს, ბავშვი ოხრად, უბატრონოდ, „კატის კნუტსაგით“ დაუგდია და კლუბებსა და ბალებში დაძრწის, დათარეშობს მხოლოდ იმისთვის, რომ ვაჟთა გული მოიგოს და ნეტარების წუთების ზეარაკად გარდაიქცეს!..

ეს არის მიზანი თანამედროვე ქალებისა, ეს „წმიდათა-წმიდა“ მათი საარსებო გეგმის უმთავრესი მუხლია... ყოველივე ეს სხვა უბედურებითაც გულდაწყლულულულ აკაკის განაცდევინებს უფრო მეტს მწუხარებას, რომლის იძულებით გული უკენის:

„ჩუი. ჩუი!.. ვეღარ ვხედავთ
დღეს ძველებურ ქართველ დელებს;
მათ შაგეერ მამაგაჯზე
ვეღარაჟინ გვაიმელებს...“

და რომ „დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვლარი“ სატრფო ზეიდდგეს, რომ ერის ემბაზმა განანათლოს თვით ერის ძენი, ამიტომ ქალებს აკაკი თავის „სარკველ ქვეულ გულში“ ახედებს, სასიკეთო გზას უკავფავს, ქალი ნამდვილ დედად, შვილის ეროვნულ ნიადაგზე აღმზრდელად სურს, „დაფითა და ნაღრით“ ამ სასიამო აზრისაკენ მიიწოდებს და დღემუდამ იმის ნატვრაშია:

„გამოჩნდეს ქართველი ქალი,
რომ ემოსოს კაცის ძალი
და მამულის სიყვარულის
გულში ედვას ტრფობის ალი!..
მას ჭაბუკი აძლეუდეს ხელს,
ვით თანაგრძნობს მის სისურველს,
და ორ კეცის სიყვარულით
გადიოდნენ ბრძოლისა ველს!..“

ნეტამც აღსრულდეს, რადკან აკაკის ეს სურვილი—შეგნებული ერის სურვილია; აკაკის ამ ზრახვის აღსრულება—ერის უმაღლეს კვარცხლბეკზე მათავსება და საქართველოს უადრესად გაბრწყინვალება; აკაკის იმედი—ქართველ ქალთა ძლევა-მოსილი ფრთებია, რომელთ დაქნევამ ერის ასულთ „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხვ“ სამშობლოს მთებზე სამხიარულო კამარა უკვე შეაკვრევინა, შემდეგ-შიაც, აკაკის სულთან ერთად, უფრო ფართო ნეტარების შთამსახველ რგოლის მოხაზვას გვპირდება და მღუმარე მთებსაც კი აღმოათქმევინებს აკაკისავე სიტყვებს:

„საქართველო აღსდგა მკვდრეთით“...

ქართველი ქალი ამას შეიგნებს...

ქართველი ქალი ვაჟებს სევდის გამზიარებლად მოველინება... და ქართველი ქალი საწადელს მიადწევს...

ეს მჯერა... მჯერა...

მიხ. ხერხეულიძე

ყვავილები

თ ე ა ტ რ ი ლ ა

შენც ისე სტირი, ზამთრის გრივალა,
ვით სული ჩემი შემდგომ ძიების.
წყვეით სავსეა ჩემი ძახილი,
როგორც სიმღერა შურისგებების...

რისთვის მიმჯაქვა ამ ყრუ მიწასთან,
რად მომანიქა ბედმა სოფელი?

—ზეცას ვერ მისწვდი და ვერ იბოვე—
თავს დანახარბებს მეფისტოფელი!..

...მე... დავემხობი შუალამისას...

უხილავს იქნებ ლოცვით ვსწვდებოდე—
და თუ ვერ ვბოვებ: ველურ ყვილით.
ძიების გლოვას მეთუბნეოდე!..

გ. ლეონიძე



პოლკ. ზაქ. ამაშუყელი
მამაკობისათვის მრავალი ჯილდოთი დაჯილდოვებული.

რუსეთის ახალი მფარლოზა

ს. ლ. ბ. ლ. კ. ი.

Maria da Spolento

ნარნარი არი შენი ტანი—საყდრის სანთელი, გეხიბლავს შეხედვა, შეხედვა, ვიჟ მახვილი მკრელი; შენტან შეხვედრას სული ჩემი არ ელოდება, მხოლოდ, როგორც ბერს. კოცონს ასეღის მომეცი ნება... ბედნიერებას მე არ ვითხოვ, არ ვითხოვ ტრფობას, უხეშ აღერსით გაგიბედავ შეურაცხყოფას!.. როგორც მხატვარი, ვიჭვრიტები გალავნის გარე, საღ სურნელოვან ყვავილებს ჰკრებ და შეგიყვარე... ახლოს მიდინარ, ქარიშხალი შორს გეტანება, მზისგან დამწვარო, ო, მარიამ მომეცი ნება, რომ ქერუბიმი შენ თ ვს ზევით თვალებმა ნახოს, უტკბესს ტკივილმა ნეტარებით გული გააღხოს, ვით ძვირფასს აღმასს იღუმალსა ლექსებს ჩავაბნევ, ჩემ საღმერთებელ, მოვლვარე შენ ხუჭუჭ თმაში. და უიმედოთ შეყვარებულ სულსაც ჩავადგებ ბრწყინვალე თვალთა შავად ღელვილ უძირო ქაში...

ტ. ტაბიძე

ა კ ა კ ი ს ს ა ფ ლ ა მ ვ ე

(ესკიზი ერთ სანახაობად)

მომხმედნი:

- ცუცი—ბრმა რვა წლისა.
- გოგი—ცუცის ძმა, 10 წლისა.
- მოხუცი მწყემსი—60 წლისა.
- ანგელოსი, ბავშვები.

მშვენიერი ბალი. შუაზე—ცოცხალ ყვავილებში გახვეული საფლავი. საფლავის თავზე ხის დიდი ჯვარი ზეწარწერით „აკაკი“. ჯვარის წინ ოდნავ მბუტბავი ლამპარი. საფლავის უკან ორი ადლის სიშორით დობე, რომელიც ორ ნაწილად ჰყოფს სცენას. სცენის სიღრმეში—ამწვანებული მთა, მთის პირველ პლანზე—მოხუცი მწყემსი, რომელიც მთელი მოქმედების განმავლობაში სალაშქრის უკრავს. მწყემსის მარცხნივ და მარჯვნივ—რამდენიმე ცხვარი. მთიდან მოქუჩის მდინარე და მთის ძირას ეცემა. საფლავის მარცხნივ გდია ერთი დიდი ქვა. ბალის პირველ ნაწილში ყვავილების ბუჩქებია, რომლებს ძირას სხედან ბავშვები, მეორე ბუჩქის ძირას—წითელ აბრეშუმის საცმელში და მესამე ბუჩქის ძირას—ბავშვი ცოცხალ ყვავილებშია. პირველ ბუჩქის ძირას მჯდომი ბავშვი ჰგლეჯს ბუჩქს ყვავილებს და თაიგულად ჰკრავს. მეორე ბუჩქის ძირას მჯდომი გაიყურება მოხუც მწყემსისაკენ მესამე ბავშვი კი იგლეჯს ყვავილებს ტანიდან და ესერის საფლავს

სამივე ბავშვი ფეხშიშველად და თმა გაშლილი. მოქმედება სწარმოებს გათენების წინ. ბაღს მკრთალად ანათებს მთვარე. მოისმის სალაშქრის ხმა და ბუღბუღის სტვენა. ბალის მეორე ნაწილში მარცხენა მხრით გამოჩნდება ანგელოსი, ნელი ნაბიჯით შემოუვლის დობეს, შემოვა მარჯვენა მხრით ბალის პირველ ნაწილში. სამივე ბავშვი წამოდგება. სამივეს ემთხვევა შუბლზე. ბავშვები აძლევენ ანგელოსს ფერად ყვავილებს. ანგელოსი შორდება მათ და ნელი ნაბიჯით მივა საფლავთან. დახრის თავს: ბავშვებისაგან ბოძებულ ყვავილებს დაბანევს საფლავზე და ქვაზე ჩამოჯდება. ბავშვებიც სხდებიან. მარცხენა მხრით სცენის წინა ნაწილში გამოჩნდებიან გოგი და ცუცი. ორივე ფეხშიშველა. გოგის ჩანთა ჰკილია, ხელში ჯოხი. ბრმა ცუცის ხელი უკილია გოგის ჩანთაზე და ნელა მოჰყვება უკან.

ცუცი (მდერის):

„მე ბრმა ობოლს აღარ მესმის მშობლიური ხმა საამო, განთიადის არ მაქვს ცნობა და მგონია სულ სადამო“.

(გოგი და ცუცი შუა ბაღში შემოფიქრებულნი იყვნენ, გოგი შეჩერდება, ირგვლივ იცქირება) ცუცი გოგი.

გოგი რა გინდა?

ცუცი ჯერ არ გათენებულა?

გოგი არა, ჯერ კიდევ ბნელა.

ცუცი მალე გათენდება?

გოგი მალე.

ცუცი მაინც როდის?

გოგი როდესაც მზე ამოვა.

ცუცი შენ არ დაილაღე?

გოგი არა, მე კიდევ შემოძლია სიარული.

ცუცი მე კი დავილაღე.

გოგი დავისვენოთ აქ! (ცუცი და გოგი სხდებიან მიწაზე)

ცუცი გოგი მე მშა.

გოგი (ამოიღებს ჩანთიდან ჰურს და ხელში ჩაუდებს ცუცის) ცუცი!

ცუცი რა გინდა.

გოგი სანამ შენ ჰურს შესქამდე, მე დავიძინებ.

ცუცი ჩემი ჰურის შექმამდის მზე რომ ამოვიდეს?

გოგი მართლა შენ გათენებას ვერ შეიტყობ... შენთვის მზე არ ანათებს...

ანგელოსი მე გაგაღვიძებ. (ცუცი და გოგი შეკრთებიან)

ცუცი ვინ არის?

გოგი (უუურებს ანგელოსს) არ ვიცი.

ანგელოსი ნუ გეშინიათ, მოდით ჩემთან.

ცუცი არა, ნუ მივალთ, მეშინია. წავიდეთ აქედან! (ცუცი და გოგი წამოდგებიან და წასვლას დააპირებენ)

ანგელოსი საუ მიხვალთ?

ცუცი ვინ გელაპარაკება, რა უნდა?

ანგელოსი განა ვერ მხედავ?

გოგი ცუცი ბრმა არის, ვერ მხედავს.

ანგელოსი დარჩით ჩემთან, ჯერ მაინც ბნელა.

ცუცი ჩემთვის სულ ერთია, ჩემთვის სულ ბნელა...

ანგელოსი საწყალი ბრმა! (ცუცის) ნუ წახვალ, გვედრები ერთი წუთით მოიცადო ჩემთან. ოჰ, რო იცოდე რა კარგია აქ.

ცუცი (გოჯის) მოვიცადოთ? ა, გოგი, მოვიცადოთ? ის ძლიერ კეთილი უნდა იყოს.

გოგი მოვიცადოთ, მაგრამ რო დავიგვიანდეს, ხომ გახსოვს, ძია აკაკის სიტყვები: მალე მოდი, მე უთქვენოთ ძლიერ მოწყე-



მსახიობქალი მარგარიტა ქილარჯიშვილი

თორმეტი წლის წინად ვლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით პირველად ქუთაისში გამოვიდა სცენაზე, მაშინვე საზოგადოების ყურადღები მიიქცია და ჩქარა სამშობლო სცენის ერთ სერიოზულ, მუყაით და მხნე მუშაკთაგანად შეიქმნა. მისი როლებია კორნელია (კაიუს გრაჰი), ქეთევანი („სამშ.“), თამარ ცბიერი, მართა, ევლოკია ანტონოვნა და სხვ.

წელს მიწვეულია ბაქოს დრამ. წრეში, რომელიც 31 იან. ბენეფისის უმართავს. წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის 4 მოქ. დრ. „ბორკილი“.

ნილი ვარო. ჩვენკი რამდენი ხანია არ ვყოფილვართ ძია აკაკისთან. იქნებ მას შევდარიც გგონიხარ.

ცუცი (აღფრთხილებული) კი, ჩქარა წავიდეთ, სულ ჩქარა, ნუ მოვიცდით!.. ძია აკაკი ჩვენ ახალ სასიძღერო ლექსებს მოგვცემს. რა მიხარია, რო მივალთ. გოგი, მომიახლოვდი, მინდა გაკოცო.

გოგი (თავს გადახრის ცუცის ტუჩებთან. ცუცი ჭკოცნის) ჩემო საყვარელო კარგო დაიკო.

ცუცი ეხლა შენ მაკოცე, ჩემო ძამიკო! (გოგი ჭკოცნის)

ანგელოსი საყვარელი და-ძმა კოცნით

ესიყვარულებიან ერთმანეთს. უყვართ თვისი ძვირფასი ძია. უყვართ და მიეშურებიან მასთან, ის კი არ იცინა, რომ მათი ძია იქ აღარ არის... არა, არ გაუშვებ, არ მინდა, გაიგონ. მე მსურს ძია მათთვის სკოცხლობდეს...

გოგი არ შეგვიძლია, ჩვენ მიგვეჩქარება. **ანგელოსი** რისთვის ურჩობო? რა იქნება, ერთი წუთით მოიცადოთ, მე თქვენსავით ბავშვი ვარ.

ცუცი საწყალი, ვგონებ სტირის, მოვიცადოთ, ძია აკაკის ჯერ მაინც ეძინება.

გოგი კარგი, მოვიცადოთ! (ცუცის მიიყვანს ანგელოსთან. ანგელოსი გვერდით დაისვენებს ცუცის. გოგი იქვე საუფაფურე ჩამოჰდებს მათ წინ.

ანგელოსი (ცუცის) შენი სახელი?

ცუცი ცუცი.

ანგელოსი დედა გყავს?

ცუცი არა.

ანგელოსი მამა?

ცუცი არა. მე მარტო ერთი ძამიკო გოგი მყავს. (გოგის) ხო, გოგი?

გოგი და კიდევ ერთი ძია გყავს.

ცუცი ძიას ჩვენ ძლიერ უყვარვართ; ოჰ, რა იცოდე რა კარგია ძიასთან! როცა მასთან ვარ, ჩემი სიბრძნევე სულ მაგიწყდება. ოჰ, ნეტავ როდის ამოვა მზე, რომ მალე წავიდეთ ძიასთან. მე ძლიერ მეჩქარება მასთან მისვლა. ნეტავი ჯერ მზე არ ამოსულა?

ანგელოსი მალე, სულ მალე ამოვა!

ცუცი ოჰ, რა ბედნიერი ხარო, თქვენ მზეს ჰხედავთ... ოჰ, რა კარგია მზე...

ანგელოსი მერმე შენ რა იცი?

გოგი როგორ არ იცის? დაიკო ცუცი დაბადებიდან კი არ არის ბრმა. ის სხვასავით თვალით იყო, დაიკოსთვისაც ანათებდა მზე და მის პატარა წმინდა სახეს ასხივოსნებდა.

ცუცი კი, მართალია... შეც მინახავს მზე, ეხლაც ვხედავ, მაგრამ სინამდვილეში კი არა, სიზმარში, ამას წინად დამესიზმრა: ვითომც ჩემთვისაც ანათებდა მზე და მეც, სხვა ბავშვებთან ერთად, ყვავილებს ვკრეფდი.

ანგელოსი (ჭკობნის ცუცის შუბლზე) ვინ იყო ის ბოროტი, ვინც სიცოცხლეს სინათლე წაგართვა?

ცუცი (გოგის) გოგი, უთხარი: შენ ხომ იცნობ მას.

გოგი ძიამ ასე გვითხრა: ვითომც ჩვენც გყვავდა მამა, რომელსაც ძლიერ უყვარდით. თურმე როდესაც ის ძლიერ მოხუცდა, სიკვდილის წინ მოისურვა ვინმე კეთილი ენახა ჩვენთვის მამის ნაცვლად. მონახა კიდევ და მოიყვანა შინ, რომ მისთვის ჩვენი თავი ეჩუქებია, მაგრამ მე მაშინ თურმე გამდელთან ვყოფილვარ, მთებში, და ჩემმა გამდელმა ჩემი თავი არ დაანება. ცუცი კი მიიბარა... მოკვდა თუ არა მამა, ცუცი მამინაცვალმა შინ წაიყვანა.

ცუცი წამიყვანა და პირველ ხანებში ძლიერაც მეფერებოდა, მაგრამ როდესაც შინ წამოსვლა ავიჩემე, მან ამაზე ფიქრიც კი ამიკრძალა. ერთ დღეს, როცა გამოპარვა დავაპირე, დამიპირა და დამტუქსა. მე შეილს მეძახოდა და თან მასწავლიდა, მამა მეძახნა მისთვის. მაგრამ მე ეს არ შემეძლო, რადგანაც ვიცოდი, რომ ის ჩემი მამა არ იყო...

გოგი (სტირის) საყვარელო მამა.

ანგელოსი ნუ სტირი, ძამიკო. (ცუცის) განაგრძე, დაიკო!

ცუცი არა, მეტს ველარას ვიტყვი, ძამიკო სტირის...

გოგი (ანგელოსს) აბა მეტი რა გითხრას? უთხრა მამა დამიძახეო, დაივიწყე შენი დედა, შენი მამა. ნუ გინდა შენი სახლიო. მაგრამ დაიკომ თურმე კიდევ ერთხელ დააპირა გამოპარვა, რისთვისაც მამინაცვალმა, ორივე თვალი დასთხარა და ობოლი სული ტყეში გადააგდო, დარწმუნებული, რომ ტყეში მოკვდებოდა.

ცუცი (შეშინებული ეგერის ანგელოსს) ოჰ, რა ტკივილებს ვგრძნობდი მაშინ თვალებში!.. უეჭველად მოვკვდებოდი, რომ შემთხვევით ძიას არ ვენახე იქ.. ოჰ, რა ტკბილი აღერსით ჩამიკრა ძიამ გულში თვისი ტრემლებით სახეზე სისხლი მომბანა და ჩუმიად შინ წამიყვანა...

გოგი მოიყვანა ცუცი თუ არა, ვილაც ბოროტს შეეთვალა მამინაცვლისთვის, რომ ცუცი ცოცხალი ძიასთან იყო. მოვარდა მამინაცვალი, მოითხოვა ცუცის თავი, მაგრამ ძიამ ორივე მთებში გაგვაპარა და თან მე მი-

თხრა: იცანი შენი დაი ცუცი, იყავი მისი წინამძღოლი, არ დაენდო ბარს და სულ მთის მიუვალ ბილიკებზე აცხოვრე, სანამ მამინაცვალი არ მოგიკვდებათო. მეც ვასრულებ მის თქმულ სიტყვას და მთაში ვიმალებით. ხანდისხან კი მოპარვით, ბნელ ღამეში, მოვდივართ ბარად, რო ძია აკაკი ვნახოთ.

ანგელოსი საწყალი ცუცი.

ცუცი გეცოდები! (სახეზე ხელს უსვამს) შენ სახე სველი გაქვს. შენ სტირი. მე.. პატარა ობოლი გეცოდები?

ანგელოსი ნუ გეშინია, სულ პატარა ხო არ იქნები. შენც გაიზღები, ჩემო კარგო დაიკო!..

ცუცი (ტირადის ხმით) მე გავიზრდები? არა, მე ვიცი რომ არ გავიზრდები... ძიამ მითხრა, რომ მზე ზრდის ყველაფერსო, მე კი როგორ გავიზრდები, მზეს რომ ვერ უყურებ და ის მე როგორ შემხედავს...

ანგელოსი (ეფერება და მკერდზე იკრავს) შენც სტირი, მაგრამ თვალეში ცრემლი არ გაქვს.

გოგი (წამოდგება და მივა ბუჩქის ძირას მჯდომ ბავშვებთან, ხან ერთ ბავშვს ეხუზნუფება, ხან შეიკრებს)

ცუცი არა, ჩემს ცრემლებს შენ ვერ დაინახავ, თვალეში დახურული მაქვს; თვალეზის ნაცვლად ჩემი ცრემლები გულში იღვრებიან და გულს მიწყალებენ...

ანგელოსი ნუ გეშინია, ყველაფერი კვდება და შენი სიგრძავეც მოკვდება...

ცუცი სიკვდილი? სიკვდილიც მოკვდება?

ანგელოსი კი.

ცუცი მერმე?

ანგელოსი რადგანაც სიკვდილი არ იქნება, არ იქნება სიტყვა ამოკვდება. რადგანაც სიტყვა მოკვდება სიკვდილს ეკუთვნის...

ცუცი მერმე შენ სიდან იცი?

ბავშვი (წამოდგება, მივა ცუცისთან და აკრტებს) საწყალი დაიკო! (თავზე ხელს უსვამს)

ცუცი (მიეკვრება ანგელოსს მკერდზე) მეშინია, ვინ არის?..

ანგელოსი ნუ გეშინია, ის კეთილი ბავშვია!

ცუცი მე არ ვიცი ვინ არის ჩემი მოკეთე ან მტერი, მე ბრმა ვარ... მაპატივე ჩემო...

პირველი ბავშვი (კვლავ მიეღერსება, მოშორდება ცუცის და ისევ ბუჩქის ძირას დაჯდება)

ანგელოსი არ შეგეშინდეს! (სცენაზე ბნელდება, მოხუცი მწეპისი შეწვევტს საღამურის დაკვრას; მოისმის წივილის ხმა)

ცუცი ვინ არის? მე მეშინია! (ანგელოსს ეკვრის)

ანგელოსი (ამჟღადებს) დაწყნარდი, ჩემო კარგო დაიკო, აწ ველარ გაიგონებ იმ საზიზღარ წივილს...

ცუცი მე... მეცნობა ის წივილის ხმა, ის მამინაცვლის ხმა... ის მე იმ წივილით მაშინებდა როდესაც სახლს მოვიგონებდი. მითხარი, აქ ხომ არ მოვა?.. (მოისმის კიდევ წივილი) გოგი!!! ძამიკო, გოგი...

გოგი (მოვარდება ცუცისთან) აქა ვარ, დაიკო! (ხელს ჭკიდებს და მოაშორებს ანგელოსს)

ცუცი წამიყვა აქედან, მამინაცვალი აქ ყოფილა, ის მომკლავს...

გოგი (ცუცის მიიფანს ერთ ბუჩქის ძირას, ჩაიკრავს გულში) არა, ნუ გეშინია, დაიკო, ის ვერ მოგვნახავს. (სცენაზე საფსებით ბნელდება. გოგი ფიარის) მოგვეშველეთ, კეთილნო ბავშვნო, აქედან გავიყვანეთ, აქ ძლიერ ბნელა.

ანგელოსი ნუ გეშინიათ, მალე გაიენდება. (მოისმის კვლავ წივილი, რის შემდეგ ბაღში სიხუშე ჩამოვარდება. პირველი მზის სხივი შემოაჩნათებს ბაღს, მოისმის გალობის სიმღერა. ანგელოსი ქვასზე შედგება და გაიუფრება მარცხნივ. მოხუცი მწეპისი კვლავ დაიწებს საღამურის დაკვრას ბაღში ზევიდან ცვივა ფერად უვავილების ნაფერთლები, თითქო რა ათფს უვავილებს. მარცხენა მხრიდან გამოჩნდებიან ფერად სამოსში გამოწყობილი ბავშვები, რომლებსაც აკაკის დიდი სურათი შემოაქვთ. მზე საფსებით ანათებს ბაღს. ბავშვები აკაკის სურათს საფლაფის თავზე დგამენ. ბავშვები განაგრძობენ გალობას)

გოგი (აკვირდება სურათს, მოშორდება ცუცის და გაკვირვებული უუფრებს სურათს. გადაჯვავს რამოდენიმე ნაბიჯს და დაიუფირებს) ძია აკაკი, ძია!.. (მივა საფლაფთან) ძია აკაკი აქ ყოფილა!.. (დაემსობა საფლაფზე)

ცუცი სად არის ძია აკაკი? ძია მე აქ

ვარ... ძია აკიკი, ძია... (შიდის ნული ნაბიჯით, ხან საფლავისკენ, ხან მარჯვნივ და მარცხნივ) ძია აკიკი, ძია...

ფ ა რ ლ ა

დ. კოპალი

გ უ შ ი ნ ლ ა მ ძ ბ რ ი...

გუშინ ღამ ქარი მოუსვენარი როს გულსაკლავად შემომკენესოდა, ჩემო სამშობლოვ, ბრძოლისა ველზე ვინ უწყს რამდენ ხალხს სული ხდებოდა!..

ან სად მარხიან ახლა ისინი? სადა აქვო, სადა ზღუდივი ბინა? მე ყველას ვკითხავ, ყველას შეეჩივი, მაგრამ, ძვირფასო, ვინ მეტყვის, ვინა?!.

ქნარი

ც ხ ო ნ ე ბ უ ლ ი ე მ ი ც *)

(დასტანის ხმაზე)

ახ, სად არის ცხონებული ეშია, თვის ხელობა ნახოს თუ რა დღეშია,— სიღარიბის გამოდ რომა ქურდობდა,— დღეს ქურდობა სოცდაგრების ხელში. იპარავდა ქვამს, აქანდახს, სარეცხსა, ნემენცების „პივის“ ქვამის სარეცხსა, კრუხ-წიწილას, მასთან ქათამს და კვერცხსა, მისთვის ბევრჯელ ჩაბრძანდა ციხეშია.

ახ, სად არის ცხონებული ეშია, დღეს ქურდობა სოცდაგრების ხელშია!

ის ქურდობდა იმისთვის, რომ შიოდა, ღამით მთვრალსა—დილით თავი სტკიოდა, ზამთრის სუსხი აწუხებდა, სციოდა, ხშირად იჯდა კედლის ძირას მზეშია...

ახ, სად არის ცხონებული ეშია, დღეს ქურდობა სოცდაგრების ხელშია!

იგი თუმცა ვისმე რასმე ჰპარავდა, იმ ქურდობით სიმშილ-წყურვილს ჰფარავდა, მისი ქცევა ქიეყანას არ ზარავდა, დღეს კი ქურდობს ვინც კი სიმდიდრეშია...

ახ, სად არის ცხონებული ეშია, დღეს ქურდობა სოცდაგრების ხელშია!

დღეს ქურდობენ თბილისისა ტუზები, ბანკით, სახლით და ჯიბითაც ტრუზები; ასიანებს აფრენენ, ვით ბუზები,

ცხოვრებითაც ყველა სამოთხეშია...

ახ, სად არის ცხონებული ეშია!—

დღეს ქურდობა სოცდაგრების ხელშია! სათვალთმაქცოდ ლაზარეთი გაგვისხნეს, მომვლელებად თვის ცოლ-ქალნი ჩავვისხნეს,— როგორც ვატყობ: პოლიტიკა არის ეს,— ერთის ნაცვლად ასი ჰკრეს ჯიბეშია..

ახ, სად არის ცხონებული ეშია!..

დღეს ქურდობა სოცდაგრების ხელშია... ეშობენ ჩვენი პარუნ-აღები, თუმცა კი აქვთ ფაბრიკები, ბადები, და სახლებშიც უკიდი თ ქალები,— სიმდიდრე ძევს მათ ყოველ კუთხეშია...

ახ, სად არის ცხონებული ეშია,

დღეს ქურდობა სოცდაგრების ხელშია! ჰფოდრაობენ შინელ-მუნდერ-ქუდებსა, ამ მიზეზით იპარვენ მაუღებსა, ვინ შენიშნავს მილიონერ ქურდებსა?— თვითო იგებს ორ-სამ ათასს თვეშია...

ახ, სად არის ცხონებული ეშია,

დღეს ქურდობა სოცდაგრების ხელშია? რას ზარალობს სანოვაგე გაძვირდეს, ერთი თუნდა ათჯერ მეტათა ღირდეს, ვითომ იმათ ცხოვრება გაუქირდეს? ნაქურდალი ცხოვრების ნუგეშია...

ახ, სად არის ცხონებული ეშია,

დღეს ქურდობა სოცდაგრების ხელშია!.. ეს საქმე რომ ღარიბმა ჩაიღინოს:

ცოლ-შვილისთვის მით ლუკმა შეიძინოს, დიდ, პატარამ უნდა ჰკიცხოს, აგინოს: „სინიღისი მაშ არ არის შენშია?!“

ახ, სად არის ცხონებული ეშია,—

რომ ქურდობა ამ ვაჭრების ხელშია,— ყველა მათგანს ცალი მხარე გაპარსოს, მისთავაზოს ამ გვარი ფეშქაშია.

ანტონ განჯისკარელი

(ქართველი კრიგორიანი, ანტონ ხუდაგერდიანი)

*) სტეფან პოლოსოვი—დალაქი იყო ეშიად წოდებული.





უფ. უნტ-ოფიცერი იოსებ ლუარსაშვილი, სარეჟისორი ბრძოლაში მოკლული ერთი თვის წინა დროს ბრძოლაში მოუკლეს, დარჩა უპატრონოდ ქვრივი დედა.

გ ა მ ო ს ა ლ მ ე ბ ა

— ამწვიდობით, ტუბილო დედიკო, მიწვევენ ბრძოლის ველზედა, —

და რა იცოდა, სხვა (კის ქვეშ სული რომ ამოჰხდებოდა!..

იაგო ტეტუნაშვილი

შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ა

(სვანთა წარსულ ცხვარებთან) (დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 3)

მესამე დღეს ყველა მკვდარი გამოასვენეს სასაფლაოზე. საშინელი კვნესა-ტირილი ისმოდა მთელ სოფელში. ძმები თანისა და ბექი ერთად დაასფლავეს, ხოლო სხვანი ცალ-ცალკე.

— მოათრეთ ის წყეული! — გაისმა ხმა და ცოტა ხნის შემდეგ ორმა ქაბუკმა მოათრია ძმების საფლავთან ცოცხალ-მკვდარი ნარსავი მკვდრების უფროსი ძმა გელა, ძაძებში გამოწყობილი, გაჩერდა ხალხის წინ და ხმა მალა წამოიძახა:

— მართალია ჩემთვის დღევანდელი დღე წყეულია და საშინელი, მაგრამ არც იმდენათ, რადგან შემძლია ჩემის ხელით ძმების საფლავთანვე ვიძია შური. შემდეგ მიუბრუნდა ძმების საფლავს და ჩასძახა: მართალია მოგკ-

ლეს მტრებმა, მაგრამ ნუ გეშინიათ, ჯერ ეს მსხვერპლი მიიღეთ, ხოლო მომავალში კიდევ სხვა იქნება. — ამ სიტყვებით იგი სწვდა ხანჯალ-ამოღებული ნარსავს, რომელიც ოდნავათაც კი არ გაინძრა და მხოლოდ საყვედურის და თან ზიზღის თვალით მიაშტერდა გელას. გელამ წაავლო ხელი თმაში, გადაუწია თავი და მძლავრის შემოქნევით გამოუსვა ყელში ხანჯალი. საცოდავ ნარსავს მხოლოდ სუსტი ხრიალიდა აღმოხდა, ერთი გაფართხალდა და განუტევა სული. სისხლმა ხრიალით გადმოსახა ყელიდან. მაყურებლებმა თვალზე ხელი მიიფარეს და სიჩქარით დაიშალნენ, გელამ კი ჰკრა ფეხი ცხედარს და გადაუგორა ძაღლებს, რომლებიც იქვე შეგროვილიყვნენ და თავის საშინელ ყმუილით კაცის გულს ჰზარავდნენ. ძაღლებმა პირი არ ახლეს ცხედარს და, თითქოს გრძობენ ამ უბედურებასო, შორიდან ლმოზიერათ დაუწყეს ყურება.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედდა მთელ სვანეთის მთებს. ყველა გრძობდა, რომ ეს სისხლის ღვრა მარტო ამით არ დათავდებოდა და ორი სოფელი ერთმანეთს გადაემტრებოდა.

ნარსავის დედას ჯერ არ უმხელდნენ, და იგიც ფიქრობდა, იქნება მტერს დარაჯობენ და იმიტომ დაუგვიანდათ ამდენ ხანსო, მაგრამ იმედმა: უმტყუნა მეზობლებმა გადაკვრით გააგებინეს ეს ამბავი. საცოდავი დედა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. როგორც გეჟი, კვილით გამოვარდა გარეთ და სახეს საშინლად იკაწრავდა. მთელი სოფელი შემოეხვია გარს, მაგრამ ვერას გზით ვერ დაამშვიდეს; ბოლოს იგი მივარდა ერთ ქაბუკს, ამოსტაცა ქარქაშიდან ხანჯალი, ხანჯლის ქნევით გააპო ხალხი და გაექანა სასაფლაოსკენ, სადაც მისი შვილი დაჰკლეს. იგი ვეფხვივით მიბრბოდა და თან საშინლად ჰკიოდა. მთელი სოფელი დაედგნა, მაგრამ ამაოდ.

როგორც იქნა, მიადწია სასაფლაომდე, სადაც ფეხის შედგისთანავე დაინახა ყელგამოღარული შვილის სხეული, რომელიც სისხლში ამოსვრილი ნათრევი ტალახიანი რა-

ლაც ნადირისაგან დაგლევილ პირუტყვს უფრო ჰგავდა, ვიდრე აღამიანს. საცოდავ დედს მუხლები გაუშვამდა, ენა ჩაღვარდა, ყელში რაღაცა მოაწვა, უნდოდა ეთქვა რაჱ, მაგრამ საშინელ კლაკნით დაენარცხა შვილის ცხედარს და სული განუტევა...

ამ პირველი

რუსთაველის საღამო მოსკოვში*)

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რუსეთის ცენტრში, ძველ დედა ქ. მოსკოვში, 26 ქრისტეშ. მგოსანმა ბაღმონტმა გაპართა რუსთაველის საღამო. საგულისხმო მოვლენაა. სწანს რუსის საზოგადოებას მოუფიქრებია თვალები და სურვილი ადძვრია გაეცნოს იმთ, ვიზუალად აქამდის მხოლოდ ზღაპრული წარმოდგენა ქმნიდა. საჭირო არ უნდა იყოს იმ კურიოზების დასახელება, რომლებიც ბევრ ქართველს მოუსმენია როცა კი შემთხვევა ქმნიდა გამსჯელს რუსთან კავკასიის, ან კერძოთ საქართველოს შესახებ. უმრავლესობამ არ იცის რა სჯულის ხალხია ქართველები, აქვთ თუ არა ანბანი, ლიტერატურაზე სომ მეტია ლაზარაკი. ამიტომ უფრო დიდი მადლობის ღირსია მგოსანი ბაღმონტი, რომელსაც ადძვრია სურვილი გააცნოს რუსის საზოგადოებას შოთხს უკვდავი ქმნილება.

საღამოს ურიცხვი ხალხი დაესწრო. იყვნენ როგორც ქართველები, ისე რუსები, ზოლონელები, მუსულმანები, უკრაინელები და სომხები. საღამოზე, სხვათა შორის, მოვიდნენ: ა. სუმიბათაშვილი, კომპ. დ. არაუიშვილი და სომეხთა მგოსანი ცატურბანი. ბაღმონტის გამოსვლას ხალხი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა. მგოსანმა მოკლედ, პოეტურად დასასიათა საქართველო, როგორც ბუნებით შემკული და იშვიათი სილამაზის მქონე მხარე.

ქართველი ხალხი რაინდი, კეთილშობილი, პოეტური ადსების ხალხიაო, სთქვა მან. მას აქვს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი კულტურა. ენა ქართული არის ძლიერი, აწივისებური და მსთანავე ნაზ-ჩაჩნარი. ქართველი ერის

ისტორიის ფონზე უმთავრესად ორი სახე სილამაზისა იპერობს უურადლებას. პირველი დავით აღმაშენებელი, პირველი ძლიერი, იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული, შემწობი კაცთა გულია; ეს უკანასკნელი თვისება იყო ერთერთი მიზეზი მისი ბრძნული მმართველობისა. აღმაშენებელმა დაიწყო საქართველოს გაერთიანება, მტერთაგან განთავისუფლება და შინაგანი ცხოვრების მოწესრიგება. დავითის საქმის განმგრძობი იყო მეორე სახე სიმშვენიერისა, მეფე თამარ; აღამიანი დვთაბრივი სიმშვენიერისა, სხეტატი სულისა და მადლი ზნეობისა. მის დროს საქართველომ მიადწია უოველ მხრივ უმწვერვალეს განვითარებას. თამარის შემდეგ საქართველო რამდენიმე საუკუნე კიდევ დარჩა დამოუკიდებელ სამეფოდ. ხოლო მეოთხემეტე საუკუნის დამდეგს ის შეუერთდა რუსეთს. ქართველები დაზურობილი ხალხი როდია. ისინი თავის სურვილით დაუკავშირდენ რუსეთის სახელმწიფოს. ეს გარემოება უოველ რუსს კარგად უნდა ახსოვდეს.

თამარის დროს მრავალი გამაჩენილი მგოსანი ქეზუდა ქართველ ერს, რომელთა შორის მიუწოდებელ იაღბუზივით მოსწანს ჯვაროსანი სიეგარულისა (Крестоносець любви) შოთა რუსთველი. მას ეკუთვნის გენიალური ქმნილება, პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ეს უკანასკნელი რაინდული პოემაა. თავიდან ბოლომდის ის წარმოადგენს სიეგარულით ადგზნებული გულის ადფრთვანებულ ჭიმის სიეგარულისადმი. სიეგარულისათვის ტანჯული, გმირი პოემისა, ეს თვით რუსთველია, რომელსაც უეგარს დვთისადარი თამარი, და ქმნის მის სადიღებლად უკვდავი წარმოებს. რუსთაველმა თავის პოემაში კარკვევით დასახა კულტი მადონისა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ განეფა რენესანსმა. „ვეფხისტყაოსანი“ ბევრი ღირსებით არის შემკული, რომელთა ადნუსხვა და გადმოცემა მეტად ძნელია. თუ გსურთ იქნითათ მასზე სათანადო წარმოდგენა, საჭიროა უშუალოდ გაცნობა, განცდა უოველივე იმისა, რასაც პოემა შეიცავს; მხოლოდ ამ მხრივ შეიძლება მისი სიმშვენიერის ცხად ეოფა.

როდესაც პირველად გაეგვი ამ პოემის არსება, მოვიდომე მის წავითხვა, როცა წავიკით-

*) ამ შერილის დაბეჭდვა ჩვენს უნებლიეთ შევიინდა.

სე, იმდენად მომხიბლავ მისმა სიდიადემ, რომ ვინდომე შესწავლა, შესწავლის დროს კი აღმოჩნდა ძლიერი სურვილი მისი რუსულად თარგმნისა.

შეტად ძნელია თარგმნა საერთოდ, განსაკუთრებით კი ზოგჯერ ნაწარმოების და უფრო კი ისეთი თავისებური ქმნილების, როგორც „გუგუხის ტუასანისა“. დიად, ძნელია ამ ნაწარმოების თარგმნა, მაგრამ, როგორც ძველი ის-პანელიკები ამბობდნენ, „მე მხოლოავს შეუძლებელი, მე მსურს დავსძლიო შეუძლებელი“. და შენ შეუდექი თარგმნას...

ამის შემდეგ ბალმონტმა წაიკითხა რამდენიმე ნაწილი „გუგუხის ტუასანისა“ თარგმნისა, რომელიც ხალხმა დიდის ინტერესით მოისმინა.

სპეციალისტი არა ვარ, რომ სათანადოდ დაგაფასო თარგმნის, ვიტყვი მხოლოდ, რომ მას დიკსებასთან ერთად დეფექტებიც აქვს. მაგ., ზოგი აფორიზმი ისეა გადათარგმნილი, რომ აზრი სულ შეცვლილია. აფორიზმი „დეკვი ღომისა სწორისა ძუ იყოს გინდა ხვადია“ თარგმნისში სულ ჭკარგავს თავის დიად აზრს.

როდესაც ბალმონტის თარგმნის კითხვას გუსმენდი, ერთი სურათი განუშორებლად ისტუბოდა ჩემს ოცნებაში. სახელობა: იალბუხის მიუწდომელ მთას კარს შრავალი ტურისტი ახგეგია. უგეგანი სტდილობენ ამ მთასე ასგვას. მიდიან დეკ-დამე დაუსვენრად. ერთი მათგანი ძლიერ დაწინაურდა. ადის თვალსაჩინო სიმაღლეზე, მაგრამ მწვერვალს კი ვერ აღწევს.

იალბუხივით ამართულა ქართულ ლიტერატურის ფონზე შოთას უგეგავი ქმნილება, რომელზედაც ასგვას ბევრს სწავდა. ბალმონტი ეგელაზე მადდა ავიდა, მაგრამ ნანატრ მწვერვალს მაინც ვერ მიადგია.

თარგმანი ნათლად ვმოწმობს, რომ ბალმონტს შაელი თავისი ზოგჯერ ბუნებით შეუგარების შოთას ქმნილება და განუცდია მისი სიმშვენიერე.

დასასრულ მგოსანმა გააცნო დამსწრეთ ერთი ფრიად შესანიშნავი თქმულება გუგუხის ტუასანისაზე.

თავის საუბარი ბალმონტმა შემდეგით დასრულა: „ის ძალა სიუვარულისა და სიმშვენიერისა, რომელიც გამოსჭვივის რუსთაველის ქმნი-

ლებაში და რომლითაც სავსებით გამსჭვალულია უფველი ქართულის გული, თუ ცოტათი მაინც შეეხება მოსკოვის მკვიდრთა გულს, მე ბედნიერი ვიქნები“.

ხალხმა ბალმონტს დიდი ოფიცია გაუმართა.

ზოგჯერ კიდევ წაიკითხა თავისი ლექსი „საქართველო“ და თამარისადმი მიძღვნილი საეცხლო ლექსი, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ხალხზე. დასასრულ წგენი ასაღვასდა მგოსანი მჭედლიშვილი ქართულად მოხდენილი ლექსით მიესალმა ბალმონტს.

ნაზი

ქ მოსკოვი.



ქართ. დრამ. დასმა სახ. სახ-ში 19/1 მეორედ წარმოადგინა „იულის მემკვიდრე“, ქრისტეს ცხოვრებით. გარეგნულად პიესა კარგად იყო მოწყობილი, თუმცა შიგა და შიგ დროის შესაფერი ელფერი ირღვეოდა. წარმოდგენა მძიმე, უსიცოცხლო მაჯის ცემით მიმდინარებოდა. ზოგიერთების ენის ბორძიკმა მაყურებელ-მსმენელის სმენა იშხამა. როლების აღსრულების მხრით, აღსანიშნავია ნ დავითაშვილი (კალია); ნიჭიერმა მსახიობალმა ძლიერის და ნაშვილის გრძნობით, შესაფერი ფერადებით განასახიერა ქრისტეს ერთი პირველი მიმდევართაგანი—განაქმული, მონანიებული მეძავი ქალი; (როგორც გვითხრეს, ნ. დავითაშვილი ავად იყო) გ იშხ ელმა (ფაონი) როლის საუხრო აღსრულებით (გრძნობით, ხმით, მიხვრა-მოხვრით) გვიჩვენა რა ძლიერი ნიჭის პატრონია იგი და უკეთეს პირობებში რომ ჩასდგეს, არა თუ ჩვენი, მოწინავე ერთა სცენის დამამშვენებელიც შეიქმნებოდა. ვ. გუნია მ აფრის განსახიერებით მთლიანი ხატება შექმნა; ალ. იმედაშვილი (ალიტურ) და ი. თიფიძე (დიდორი) ტიპიური გლოთებულნი დიდებულნი იყვნენ,—ი. თიფიძეს დაწინაურება ეტყობა; დიდორში რო არ ამელაშებდეს—მართლა და მშვენიერი იქნება. დ. მგალობლიშვილსა (კორნელი) და ზ. გომელაურს (ნატალი) ღირსეულად ეპირათ თავი, ოღონდ... პირველ რომის პატრიცობა აკლდა, მეორეს—მდიდარი ვაჟის შგლობა“. ნ. ჯავახიშვილს (ნუბია) რომ არ ეძიონა (როლს ცოდნაში) უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა. მ. სარაულს (პროკულ), ნ. თოიძეს (ირა)—როლები არ გაუფუჭებიათ. საერთოდ წარმოდგენას მთლიანი ძაფი, თბილი გრძნობა აკლდა. მოგადგობა

ნაელებ დაეწრო, ოუმცა ბილეთები სულ გაყიდული იყო (საქველმოქმედო მიზნით) თარგმანი (კონსტან ანდრონიას) შიგა და შიგ მოისუსტებს,—ენა რო შესწორდეს, ზოგიერთი ადგილებიც შეიკრიბოს და უკეთესად დაიდგეს—საზოგადოება მუდამ სიამოვნებით მოისმენს.

ბაქოს დრამატიული წარმართვა კვირას, 10/1 ი.

ზარდალიშვილის რეჟისორობით დასდგა „ედმონდ კინი“. რეჟისორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ეს პიესა კარგად იყო მომზადებული და დადამულიც არც ერთს, მის მის მიერ აქ დადგმულ პიესაში, არ სჩანდა მავარი შრომა სცენის მოყვარეთა მომზადებაში, როგორც ამ უკანასკნელში. ამ პიესის დადგმა ადგილობრივ სცენაზე სახიფათოა, მაგრამ ეს დაბრკოლება პიესის მწყობრმა (რასაკვირველია ზოგიერთ დეფექტების გამოკლებით) მსვლელობამ დასძლია და საერთო შთაბეჭდილება დამაკმაყოფილებელი იყო.

„ედმონდ კინის“ როლს ბ-ნი ზარდალიშვილი ასრულებდა... ქ-ნს შოთაძეს (პისტოლი) ბევრეური სიცოცხლე აკლდა, სხვაფრივ კარგი იყო, ხოლო ქ-ნი ქილარჯიშვილს (ელენე) სიამაყესთან სინაზე რომ ხლებოდა, ჩინებული იქნებოდა. ბ-ნ მატარაძეს (უელსის პრინცი) აკლდა სიამაყე, სხვებზე არაუშავდა; ბ. შ. გომართელი (კეფელი) თუმც თავს გრაფობაში უხერხულად გრძობდა, მაინც დაკვირვებით თამაშობდა; შ. ბეჟუაშვილი (ლორდ მეღვილი) კარგი იყო. გ. პავლიაშვილი (სუფლიორი) მავარ როლებში ყოველთვის იმედს ამატებდა. ქ-ნი შავდიას (ანნა დემბრ) პირველი დებიუტი იყო. დანარჩენ მოთამაშეებს (გარდა მატროსებისა) წარმოდგენის საერთო მსვლელობისთვის ხელი არ შეუშლიათ. ხალხი შედარებით ნაკლები დაესწრო.

ს. ბაკისი (ზემო ქართლი), სასოფლო თეატრი.

აქაურ ახალგაზდათა მიერ დაარსებული, მეტად ნაყოფიერად მუშაობს. ამ უქმების განმავლობაში ადგილობრივმა მუდმივმა დასმა ორი წარმოდგენა გამართა („არსენა“ და რამდენიმე ვოდევილი). ორივეჯერ მოთამაშენი დიდის დაკვირვებით და, შეიძლება ითქვას, ნიჭითაც ასრულებდნენ თავიანთ როლებს. მათ მიერ შექმნილი ტიპები: არსენა, სირაჯი და სხ. თავისებურებას არ არიან მოკლებულნი, რადგანაც მოთამაშენი ნამდვილი სოფლის შვილი არიან, რომელთაც გარდა თავის მიერ შექმნილ სცენისა არაფერი არ უნახავთ. მათი ბუნებრივი, მოხდენილი განსახიერება სხვა და სხვა გმირებისა, საკვრველი მესიერება და დაკვირვების ნიჭი ცხადი მაჩვენებელია, თუ რა ძლიერი და საღი სულია დაფარული რუსის დაფლეთილ ფარაჯაში გახვეულ ქართველ გლეხში... ბუნებრივი თანდაყოლილი სასცენო ნიჭი ბევრს ეტყობა. მშვენივრად ჩაიარა „არსენა“; მ. თამაშეებს ეტყობოდათ, რომ არსენას სულის კვეთება მათი საკუთარი სულის კვეთება იყო. ამიტომ მათი მარტივი ბუნებრივი თამაშობა უფრო

დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა. მაგრამ განსაკუთრებით კარგი იყო ვოდევილი „არც იქით და არც აქეთ“, რომელმაც უნაკლულად ჩაიარა.

ვუსურვებთ ახალ და ნორჩ დასს უფრო მეტ სიმხვევს, რათა მათ მუშაობას მომავალში უფრო დიდი ნაყოფი გამოეღოს.

ქართ. კულტ. საზ-ის თაოსნობით, გ. ჟორ-

დანიას თავმჯდომარეობით, კვირას 17/1 „ახ. კლ.“ დარბაზში მგოსანმა გ. ქუჩიშვილმა წაიკითხა თავისი პოემა ნადრევი ვარსკვლავი“. შემდეგ გაიმართა კამათი, კამათში მონაწილეობდნენ: ი. ვართაგავა, პ. მიროიანაშვილი, მ. წულუკიძე, ი. რუხაძე, ნ. ჩხიკვაძე, ი. იმედაშვილი, ლ. მაისურაძე და სხ. დაესწრო მრავალი ხალხი, განსაკუთრებით მოწაფენი.

წვრილი ამბები

- ◆ **მშობლი ძალი** მარიამ გარიყული ავადა.
- ◆ **თათრულ პიესას** „არშინ მალ ალან“-ს ქართულად სთარგმნის ვანო გიგოშვილი.
- ◆ **მოსვამონათ** მკითხველთ, რომ დღეს სახ. სახლში ბ. ბეგლარიძის თაოსნობით იმართება საყურადღებო სალიტერატურო დღეა. დასაწყისი შუაღლის 1 ს.
- ◆ **ახალი პიესები** დასწერეს: 1) გიგო ხეჩუაშვილმა „ძალმომრეობა“, 2) მოქ, 2) ციკერონმა—„ტყის ძმები“, 5) მოქ გურიის ახლო წარსულიდან.
- ◆ **ნ. დავითაშვილი** ავად გამხდარა.
- ◆ **ელ ჩირაქაიშვილის** სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართება „სახნინო თეატრში“ 2 თებ. სადღესასწაულო კომიტეტის წევრებმა ცნობილი მანდილლენსებია მოწვეული, თავმჯდომარედ ნ. ა. ტარსაძე, ხაზინადრად ა. ბ. შიხინოვი.
- ◆ **ნიკო გოციჩიძის** ოცი წელიწადი შეუსრულდა, რაც სახალხო სცენაზე მოღვაწეობს.
- ◆ **ქართ სპეკ. საზ-ის** სასარგებლოდ დღეს, 24 იან., „ახ. კლ.“ დარბაზში გა მართება საღამო, კნ. ე ი ჯამ.-ობრბელიანის საპატიო გამგებლობით.
- ◆ **ქართ. კულტ. მოქმ. საზ-ის** გამგეობაში მიიწვიეს კნ. ქ. ჯ. ამირაჯიბისა, პ. მიროიანაშვილი და ა. ს. ლორქიფანიძე.
- ◆ **ქართვალ ძალთა** სემინარიისთვის საგნების პროგრამას შეუდგნენ.
- ◆ **სარფუხის კლუბი** თავისსავე ბინაზე გადადის.
- ◆ **„თეატრი და ცხობისა“** ბახვის სამკითხველთ თავისი ხარჯით გაუწერა ივანე ძიძიშვილმა 2) ძირულის სამკითხველთ—ნატალია დავით. სუხიშვილმა.
- ◆ **ბაკის ნაკვეთები** ამ დღეებში ცალკე წიგნად გამოვა. წიგნთ მოვაჭრეებს შეუძლიანთ ამ თავითვე დაიკვეთონ „სორაპის“ სტამბაში ი. იმედაშვილთან

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**